პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
3 თებერვალი
1943 წ.
№ 27 (6652)
ფასი 20 კაპ.

უდიდესი ისტორიული ბრძოლა სტალინგრადთან დამთავრდა 2 თებერვალს ჩვენი ჯარების სრული გამარჯვებით! სახელი და დიდება [illegible] ჯარისა! დიდი სტალინის მხედართმთავრობით [illegible] გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის!

მოსკოვი. დონის ფრონტის შტაბი. 43 წლის 2 თებერვალი 18-30

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ სტალინს

საბრძოლო პატაკი № 0079/ოპ

დონის ფრონტის ჯარებმა, რომელნიც თქვენს ბრძანებას ასრულებდნენ, 2. II. 43 წ. 16.00 დაამთავრეს სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების განადგურება და მოსპობა.

მთლიანად მოხპობილია და ნაწილობრივ დატყვევებულია: მე-11 საარმიო კორპუსი, მე-8 საარმიო კორპუსი, მე-14 სატანკო კორპუსი, 51-ე საარმიო კორპუსი, მე-4 საარმიო კორპუსი, 48-ე სატანკო კორპუსი 22 დივიზიის შემადგენლობით: 44-ე, 71-ე, 76-ე, 79-ე, 94-ე, მე-100 მსუბუქი, 113-ე, 376-ე, 295-ე, 297-ე, 305-ე, 371-ე, 384-ე, 389-ე ქვეითი დივიზიები; მე-3, 29-ე და მე-60 მოტორიზებული დივიზიები; გერმანელთა მე-14, მე-16 და 24-ე სატანკო დივიზიები; რუმინელთა 1-ლი საკავალერიო და მე-20 ქვეითი დივიზიები.

გარდა ამისა, მოსპობილია გაძლიერების ნაწილები:

ა) რგკ 42-ე, 44-ე, 46-ე, 59-ე, 61-ე, 65-ე, 72-ე საარტილერიო პოლკები; 1/97 აპ 43, 639-ე, 733-ე, 856-ე, 855-ე, 861-ე რგკ საარტილერიო დივიზიონები; საიერიშო ქვემეხთა 243-ე დივიზიონი; რგკ ექვსლულიან ნაღმსატყორცნთა მე-2 და 51-ე სანაღმმტყორცნო პოლკები; მე-9, მე-12, 25-ე, 30-ე, 37-ე, 91-ე საზენიტო დივიზიონები, სხვადასხვა პოლკებისა, რომელთა ცალკე ნაწილები სხვა ფრონტებზე მოქმედებენ.

ბ) 45-ე, 71-ე, 294-ე, 336-ე, 652-ე, 672-ე, 685-ე, 501-ე ცალკე მესანგრე ბატალიონები და 1 ცალკე მესანგრე ბატალიონი უნომროდ.

გ) 21-ე, მე-40, 540-ე, 539-ე ცალკე მშენებელი ბატალიონები.

დ) კავშირგაბმულობის მე-6 პოლკი და, ვარაუდით, კავშირგაბმულობის 594-ე პოლკი.

ე) არტილერიის საინსტრუმენტო დაზვერვის (ასდ) მე-7 და 28-ე დივიზიონები.

ვ) ბევრი მეხიდეთა კოლონა და სხვა მომსახურე ნაწილი.

წამოყვანილია 91.000-ზე მეტი ტყვე, აქედან 2.500-ზე მეტი ოფიცერი და 24 გენერალი, მათ შორის: 1 გენერალ-ფელდმარშალი, 2 გენერალ-პოლკოვნიკი, დანარჩენნი—გენერალ-ლეიტენანტები და გენერალ-მაიორები.

მტრის გარშემორტყმული ჯარების სრულ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ქალაქ სტალინგრადში და სტალინგრადის რაიონში საბრძოლო მოქმედება შესწყდა.

ნადავლის დათვლა გრძელდება.

დონის ფრონტის ჯარების სარდალი
გენერალ-პოლკოვნიკი როკოსოვსკი

დონის ფრონტის შტაბის უფროსი
გენერალ-ლეიტენანტი მალინინი

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება დონის ფრონტის ჯარებისადმი

დონის ფრონტი.
უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელს არტილერიის მარშალს ამხ. ვორონოვს.
დონის ფრონტის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ როკოსოვსკის.

გილოცავთ თქვენ და დონის ფრონტის ჯარებს სტალინგრადთან მტრის გარშემორტყმული ჯარების ლიკვიდაციის წარმატებით დამთავრებას.

მადლობას ვუცხადებ დონის ფრონტის ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს წარჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდალი И. სტალინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 2 თებერვალი.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია

დღეს, 2 თებერვალს, დონის ფრონტის ჯარებმა მთლიანად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს სტალინგრადის ჩრდილოეთით გარშემორტყმული მტრის წინააღმდეგობა და აიძულეს იგი იარაღი დაეყარა. გასრესილია მტრის წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა სტალინგრადის რაიონში. 1943 წლის 2 თებერვალს ისტორიული ბრძოლა სტალინგრადთან დამთავრდა ჩვენი ჯარების სრული გამარჯვებით. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ტყვეების რაოდენობა 45.000-ით გადიდდა, ხოლო სულ 10 იანვრიდან 2 თებერვლამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 91.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

2 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მე-11 საარმიო კორპუსის მეთაური, სტალინგრადის ჩრდილოეთით გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების ჯგუფის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი შტრეიქერი და მისი შტაბის უფროსი გენშტაბის პოლკოვნიკი ჰელმუტ როსკურტი.

გარდა ამისა, 1 და 2 თებერვალს ტყვედ წამოყვანილი არიან გერმანიის არმიის შემდეგი გენერლები: 1) მე-8 საარმიო კორპუსის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი ვალტერ ჰაიტცი, 2) 76-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ფონ როდენბურგი, 3) 113-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ფონ ზიქსტ არმინი, 4) 24-ე სატანკო დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ფონ ლენსკი, 5) 389-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი მარტინ ლიატმანი, 6) სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების ჯგუფის სარდალი გენერალ-მაიორი რასკე, 7) გენერალ-მაიორი მაგნუსი.

ტყვედ წამოყვანილი არიან აგრეთვე გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის პირადი ადიუტანტი პოლკოვნიკი ადამი, მე-14 სატანკო დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ლიუდვიგი, მე-100 ქვეითი დივიზიის 227-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ფრანც ნაიგეკერი, მე-2 სანაღმმტყორცნო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ფრიდრიხ ნაიერი, 29-ე მოტოდივიზიის 29-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი გიუნტერ კრაგი, მე-8 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი შნიტცერი, რუმინელთა 1-ლი საკავალერიო დივიზიის არტილერიის უფროსი პოლკოვნიკი მალტოპოლი, მე-8 საარმიო კორპუსის მე-13 მესანგრე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შილენგი, 76-ე ქვეითი პოლკის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გელოგულატი, კავშირგაბმულობის 48-ე ცალკე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი კარენეიკი, 376-ე ქვეითი დივიზიის 51-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შვარცი, 44-ე ქვეითი დივიზიის 134-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბო�იე, 376-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ფური, 376-ე ქვეითი დივიზიის 576-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შიტეზენფი, 37-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ვოლტი, 44-ე ქვეითი დივიზიის, 134-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბოსარტური, 376-ე ქვეითი დივიზიის 536-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შლეზინგერი, 627-ე საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბერენეკი, 767-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი შტაიდლე, მე-14 სატანკო დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ფონ ვოლტი, 76-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ბრიდჯულტი, 54-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ლებერი, პოლკოვნიკი ექმი კაიზერი, 297-ე ქვეითი დივიზიის 523-ე ქვეითი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ჰანს ლიბაუ და მრავალი სხვანი.

სულ ჩვენმა ჯარებმა სტალინგრადთან წარმოებულ ბრძოლებში ტყვედ წამოიყვანეს 24 გენერალი და 2.500-ზე მეტი ოფიცერი.

მტრის გარშემორტყმული ჯარების წინააღმდეგ გენერალური შეტევის განმავლობაში, 10 იანვრიდან 2 თებერვლამდე, არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 750 თვითმფრინავი, 1.550 ტანკი, 6.700 ქვემეხი, 1.462 ნაღმსატყორცნი, 8.135 ტყვიამფრქვევი, 90.000 შაშხანა, 61.102 ავტომანქანა, 7.369 მოტოციკლი, 480 საწევარი, ტრაქტორი და ტრანსპორტიორი, 320 რადიოსადგური, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 56 ორთქლმავალი, 1.125 ვაგონი, 235 საწყობი საომარ მასალიანად და საჭურვლიანად და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება. ნადავლის დათვლა გრძელდება.

ასეთია ომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძოლის დასასრული.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 თებერვლის დილის ცნობა

1 თებერვლის ღამის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერ-კავკასიის, ვორონეჟის, ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

დონის ფრონტის ჯარები ელეტდნენ ჰიტლერელთა დაქსაქსულ ჯგუფებს, რომლებიც წინააღმდეგობას გვიწევენ სტალინგრადის ჩრდილოეთით. მტრის დასაყრდენი პუნქტებისათვის არტილერიის დაშენის შემდეგ 5 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს მტრის მთელი რიგი ძლიერწერები და ბლინდაჟები. წამოყვანილია ტყვეები.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მეჩეტინსკაიას რაიონში გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ნაწილები. ჰიტლერელთა წინააღმდეგობა ამ უბანზე გატეხილია და ისინი უკან იხევენ ჩვენი ჯარების დარტყმებით. საბჭოთა მებრძოლებმა დიკავეს რამდენიმე გამაგრებული დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს 3 ტანკი და სხვა დავლა.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. ერთ უბანზე მტერმა უკან დახევისას ბრძოლის ველზე დასტოვა 300-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი 5 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 13 ტყვიამფრქვევი. 5 ნაღმსატყორცნი საწყობი სურსათიანად და ბევრი საომარი მასალა.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებებს შეტევას და მთლიანად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. 2 თებერვალს განადგურებულია მტრის წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა სტალინგრადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. ისტორიული ბრძოლა სტალინგრადთან ჩვენი ჯარების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენმა ჯარებმა სვატოვოს რაიონში დიკავეს რაიონული ცენტრები პოკროვსკოე და ნიჟნაია დუბოვკა.

ტიხორეცკის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დიკავეს რაიონული ცენტრები/ პავლოვსკაია, ნოვო-ლეუშკოვსკაია, კორეშოვსკაია.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დიკავეს.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი 12.000 ტონა წყალწყვისა.

• • •

1 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშობილია 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები იგერიებდნენ ჰიტლერელთა კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ წინსვლას. 5 შენაერთის მებრძოლებმა მტერი განდევნეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან და დიდი ზარალი მიაყენეს მას. მარტო ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში დათვლილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. სხვა უბანზე მტერი ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით ორჯერ გადმოიდა კონტრიერიშზე და ცდილობდა დაიბრუნებინა დაკარგული პოზიციები. ბრძოლის შედეგად 5 ნაწილი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 ნაწილი გარს შემოერტყა და მთლიანად დაატყვევა გერმანელთა ბატალიონი. ჩვენმა ტანკისტებმა, სდევნიდნენ რა უკანდახეულ მტერს, მოსპეს 13 ქვემეხი, 21 ავტომანქანა და ტყვედ წამოიყვანეს 129 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე წამოვიდა 15 ქვემეხი, 150 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება. ტყვედ წამოყვანილია მტრის 450 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის ნაწილებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 38 ტანკი, 270 ავტომანქანა, 196 ვაგონი საომარ მასალიანად, სურსათიანად. მედიკამენტებიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა დასახლებული პუნქტი დიკავეს და ხელთ იგდეს დავლა, შათს შორის 3 ტანკი, 13 ავტომანქანა. 4 ვაგონი ყუმბარებიანად. 6 ვაგონი ავიაბომბებიანად. ეშელონი სურსათიანად და 700 სული რქიანი საქონელი.

• • •

მოგილევის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ორი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაადგო მტრის 14 სამხედრო ეშელონი. მარცხთა შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა აიფეთქეს 10 ხიდი. დასწვეს და დაამტვრიეს 42 ავტომანქანა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ქვემეხი. 144 შაშხანა 120 ყუმბარა. 10.000 ვაზნა და ბევრი სხვადასხვა სამხედრო ქონება.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა უნგრელთა მე-9 ქვეითი დივიზიის მე-17 პოლკის ჯარისკაცმა მიტრო რუდაშმა გვაცნობა: „გერმანელთა

2 თებერვლის საღამოს ცნობა

გერმანელებმა 4 ტანკი დაჭკარგეს, ვერავინ ვერ წარმატებას ვერ მიაღწიეს და უკან დაიხიეს.

• • •

სვატოვოს რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევითს ოპერაციებს ეწეოდნენ. ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 28 ტანკი, 22 ქვემეხი და ბევრი ავტომანქანა. ჩამოგდებულია აგრეთვე მტრის 4 თვითმფრინავი. ხელთ ვიგდეთ 6 საველე ქვემეხი, 3 თვითმავალი ზარბაზანი, 35 ავტომანქანა და 2 საწყობი საომარ მასალიანად. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა მოსპეს 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოიყვანეს 120 ტყვე. ხელთ ვიგდეთ 2 ტანკი, 10 ავტომანქანა ტვირთიანად და სხვა დავლა.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ.

იმ ნაწილმა, რომელსაც ამხ. ეფიმოვი მეთაურობს, დაამარცხა გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი. 300 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ დაგრიბა. სხვა უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა ღამის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს მტრის 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დიდი დავლა.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევას. დღის განმავლობაში 5 შენაერთის ნაწილებმა 6 დასახლებული პუნქტი დიკავეს. გაფანტულია ბრძოლა მოხდა გერმანელების მიერ ძლიერ გამაგრებული ერთი დასაყრდენი პუნქტის მახლობლად. საბჭოთა მებრძოლებმა ფრონტიდან ბრძოლებით შეგბოჭეს მტრის გარნიზონი. ამ დროს ჩვენმა სხვა ქვეგანაყოფებმა მტრის შემოუარეს და ფლანგებიდან და ზურგიდან მიეტანეს მასზე იერიში. გერმანელთა გარნიზონი თითქმის მთლად მოსპობილია. ხელთ ვიგდეთ საწყობები საომარმასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად. სხვა უბანზე 5 ნაწილის მოძრავი რაზმი მტერს ზურგში მოეკიდა და ხელთ იგდო გერმანელთა საართილერიო ბატარეა, 12 ტყვიამფრქვევი. 4 ნაღმსატყორცნი და საწყობი ნაღმებიანად.

• • •

სმოლენსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი ვერის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაადგო მტრის 5 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, 41 ვაგონი და 13 ჰლატფორმა. დანგრეულია 950 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი. სმოლენსკელ პარტიზანთა სხვა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა ალაგს, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. პარტიზანებმა დასწვეს 8 ჯარი ბენზინი, ხელთ იგდეს 23 ცხენი და რამდენიმე ათასი ვაზნა.

• • •

ქვემოთ ქვეყნდება აქტი ვორონეჟის ოლქის სოფელ სოლდატსკოეში გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ: „ჰიტლერელებმა წაიღეს ენინის სახელობისა და ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობების მთელი მოსავალი, გაძარცვეს კოლმეურნეები და შიმშილით სიკვდილი განიმზადეს მათ. ფაშისტმა ბანდიტებმა ჯანადგურეს მეზობელი სოფლების მცხოვრებნი და ყველა კოლმეურნე სოფელ სოლდატსკოეში მორეკეს დაახლოებით 11.000 კაცი, რომელთა შორის ბევრი ქალი და ბავშვი იყო, თავს იფარებდნენ თავლებში, ფარდულებსა და მიწურებში. გერმანელები შიმშილით ხოცავდნენ მათ და არასად არ უშვებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიტლერელებმა გაწამებული და კასუტებული ხალხი დასავლეთისაკენ გაიყარეს. ავადმყოფებს და შიმშილით დაუძლურებულთ ფაშისტი ურჯულუკები გზაში ხერეტდნენ. ჰიტლერელმა ჯალათებმა სოფელში ჩამოაბრჩეს 11 ტყვე წითელარმიელი და დახვრიტეს ოლია ანციფოვი—30 წლისა, ანა ალიჩიკოვა—25 წლისა, ოლია ჰოპოვა—35 წლისა, თეოდორე ზიკოვი—70 წლისა და სხვა მცხოვრებნი. სოფლიდან უკანდახევისას გერმანელებმა დასწვეს საზოგადოებრივი შენობები და კოლმეურნეთა 30 სახლი“ აქტს ხელს აწერენ: ი. ბოლოტუხინი, ი. მოჩნეკი. მ. ჰოპოვი, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ემელიანოვი.

კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ И. ბ. სტალინს

თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამმართველოების მუშაკებმა, რომელნიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამსჭვალული არიან მხურვალე სურვილით გაანადგურონ საზიზღარი მტერი და აღფრთოვანებული არიან სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის მიერ თქვენი ხელმძღვანელობით მიღწეული საბრძოლო წარმატებებით, წითელი არმიის შესაიარაღებლად შეიტანეს თავიანთი პირადი დანაზოგი 3.080.000 მანეთი და სახელმწიფო სესხთა 4.155.000 მანეთის ობლიგაციები.

სახსრების შეგროვება მიმდინარეობს როგორც მკაფიო დემონსტრაცია თავდაცვის სახალხო კომისარიატის მუშაკთა ღრმა სიყვარულისა და ერთგულებისა დიადი სამშობლოსადმი, მშობლიური ბოლშევიკური პარტიისადმი, თავიანთი გენიალური ბელადისა და მხედართმთავრისადმი—ამხანაგ სტალინისადმი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატის მუშაკები პირობას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ უნარს მოანდომებენ იმას, რომ გაანადგურონ გერმანელი ოკუპანტები და გარეკონ ისინი ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან.

მხურვალე გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, და გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი

თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე
წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი
გენერალ-ლეიტენანტი ა. შჩერბაკოვი

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ო. ბახარევა

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ჟუკოვს. თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ამხანაგ ა. შჩერბაკოვს. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ო. ბახარევას

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა მუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს 3.080.000 მანეთი და სახელმწიფო სესხთა 4.155.000 მანეთის ობლიგაციები წითელი არმიისათვის საჭურვლის ასაგებად.

И. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საქართველოს კათოლიკოსატის მორწმუნეთა 85.000 მანეთი შეაქვთ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში წითელი არმიის საჭიროებისათვის და გთხოვეს თქვენ მიიღოთ წრფელი გულის სიყვარულის ეს მცირედი ძღვენი მსგავსად სახარების ქვრივის წვლილისა. სამყაროს მეუფისადმი აღვავლენთ გულითად ლოცვას, რათა იგი შეგვეწიოს, რომ ადრე და მალე წარვხოცოთ ჩვენს წმიდა ქვეყანაში დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ყოფნის ყოველი კვალი.

ხოლო ჩვენი ძლევამოსილი მხედრობის უმაღლესი ბელადისა და ორასმილიონიანი მოსახლეობის მამისათვის, რომელთათვისაც ზრუნვა მან იტვირთა, დღედაღამ შევთხოვთ ჯანმრთელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

სრულიად-საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კალისტრატე

ქ. თბილისი. სრულიად-საქართველოს კათოლიკოს კაბრიარქს კალისტრატეს

მადლობას ვწირავ საქართველოს კათოლიკოსატის მორწმუნეებსა და სამდიდლოებას წითელ არმიაზე ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

И. სტალინი

დაბადებიდან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს

წითელი არმიის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოთ წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ქვემოხსენებულ პირთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

გენერალ-პოლკოვნიკის წოდება

მაქსიმე ანდრიასის-ძე რეიტერს
ივანე ივანეს-ძე მასლენიკოვს.

გენერალ-ლეიტენანტის წოდება

თეოდორე ექვთიმეს-ძე ბოკოვს
კუზმა ნიკიტას-ძე გალიცკის
ალექსი ივანეს-ძე ზიგინს
არონ გერშის-ძე კარპონოსოვს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
И. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
И. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 30 იანვარი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. И. ბ. სტალინმა სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად

2 თებერვალს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა И. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად, რომელმაც წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს ფრონტზე მიუტანა მონღოლი ხალხის საჩუქრები.

სადილზე იყვნენ: დელეგაციის მეთაური, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მარშალი ჩოიბალსანი, მცირე ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბუმცენდე, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სურუნჟაბი, სახალხო ლაშქრის მთავარსარდალი მიჟიდი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი სსრ კავშირში სამბუ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი გონგორი და დელეგაციის სხვა წევრები. აგრეთვე ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, მარშალი გ. კ. ჟუკოვი, ა. ე. ბადაევი, ვ. გ. დეკანოზოვი, ი. მ. კაგანოვიჩი. სსრ კავშირის დესპანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ივანოვი და სხვ.

ჩერჩილის მოლაპარაკება თურქეთის სახელმძღვანელებთან

ლონდონი, 1 თებერვალი (საკადესი). დღეს საღამოს ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელიც წარმოადგენს შეერთებული სამეფოს მთავრობას, გაემგზავრა თურქეთში, როგორც თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სტუმარი. ჩასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრი მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომელიც დანაშაულ იმყოფებოდა.

თურქეთისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებსა და მათ მრჩეველთა შორის რამდენიმე საუბარი გაიმართა. ამ საუბრებში თურქეთის მხრივ მონაწილეობას იღებდნენ: მუფრუ სარაჯოღლუ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მარშალი ფევზი ჩაკმაკი — გენერალური შტაბის უფროსი, ნუმან მენდერესი — საგარეო საქმეთა მინისტრი, ფეზიოღლუ — საგარეო საქმეთა სამხედრო ატაშეი ერკინი — თურქეთის სამხედრო ავიაციის სარდალი, პოლკოვნიკი ფაზიკ კაიალი — გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი; დიდი ბრიტანეთის მხრივ: უინსტონ ჩერჩილი — პრემიერ-მინისტრი, ნეჩბელ ჰიუგესენი — დიდი ბრიტანეთის ელჩი თურქეთში, სერ კადოგანი — საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე, გენერალი ალან ბრუკი — იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ვიდსონი — ირანიერაყის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი ჰაროლდ ალექსანდერი — ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალ ლეიტენანტი ლინდსელი — ხელმძღვანელი ადმინისტრაციისა ახლო აღმოსავლეთში, ავიაციის მარშალი დრემონდი — ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ეფროსის მოადგილე. კომუნიკე თანდასმული — სამხედრო ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის თეატრის მთავარსარდალთან არსებული შტაბის უფროსი.

ამ შეხვედრის დროს გამართული გულწრფელი საუბრების შედეგად დადასტურებულ იქნა და კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრული კავშირი და ურთიერთგაგება თურქეთსა და შეერთებულ სამეფოს შორის. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა გაიკითხეს მიმოხილვა თურქეთის პოლიტიკისა, რომელიც ტარდებოდა ამ უკანასკნელი კრიტიკული წლების განმავლობაში, ხოლო პრემიერ-მინისტრმა შესძინა დაურწმუნებინა ისინი, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა სრული სიმპატიითა და გაგებით ადევნებდა თვალყურს იმ პოლიტიკას, რომელსაც თურქეთი ატარებდა. თურქეთისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა ერთობლივად განიხილეს ევროპაში და განსაკუთრებით იმ რაიონებში არსებული მდგომარეობა, რომლებითაც თურქეთი უშუალოდ არის დაინტერესებული. ყველა ძირითად საკითხში დამყარებულ იქნა შეხედულებათა იდენტურობა.

მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ მატერიალური დახმარების ხასიათის თაობაზე, რომლის გაწევასაც თურქეთისათვის შესძლებენ დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები თურქეთის საერთო უშიშროების განსამტკიცებლად. ამ საკითხზე მოლაპარაკება სწარმოებდა ავრეთვე თურქეთისა და ინგლისის სამხედრო მრჩეველთა შორის. პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ამას წინათ ეთათბირა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, შესძლო ელაპარაკა როგორც ისეთ ამბავ, რომელიც საგანგებო იქნობს პოზიციას პრეზიდენტ როზველტისას, რომელიც ყოველთვის მიისწრაფოდა წინადადებას ამ შეხვედრის მოწყობის შესახებ. ყურადღება დაითმო ავრეთვე ომისშემდგომ პრობლემებს; ამ პრობლემათა შესახებ ბევრი მიიღწეოდა შეთანხმება.

ამ მოლაპარაკების შემდეგ, რაც მიმდინარეობდა 30 და 31 იანვარს ადანაში, თურქეთისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა ვამოსთქვეს თავიანთი სრული კმაყოფილება".

„უდიდესი გამარჯვება ახლანდელ ომში"

აფერაკული პრესა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმისა და ლიკვიდაციის შესახებ

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკადესი). გაზეთი „სუნი" კომენტარს უკეთებს წითელი არმიის მიერ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციას, 16 გენერლის ტყვედ წაყვანას და სწერს: „სტალინგრადის ფრონტიდან მიღებული ცნობები საუცხოო კომენტარს წარმოადგენენ 30 იანვარს ბერლინში გერინგისა და გებელსის ნაღვლიანი გამოსვლებისათვის. ახლა ცხადია, თუ რატომ ვერ გაბედა ჰიტლერმა პირდაპირ მიემართნა მოტყუებული გერმანელი ხალხისათვის. 1941 წლის ივნისში ხომ გერმანელ ხალხს დაჰპირდნენ, რუსეთი „მოსპობილ იქნება" რამდენიმე კვირის განმავლობაში. იმავე წლის დეკემბერში გერმანელებს განუცხადეს, რომ საქმე „რამდენადმე ფერხდება". მაგრამ მალე „ყველაფერი წესრიგში იქნებაო". 1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებს შთააგონებდნენ, რომ საჭირო იქნება კიდევ მხოლოდ ერთი ზაფხული, კამპანიის პერიოდში მიღწეულ ყველა თავის წარმატებათა ნაყოფი.

„სტალინგრადთან გერმანელებს თავს დაუყდათ გიგანტური მასშტაბის სამხედრო კატასტროფის"

ინგლისური პრესის გამოხმაურება

ლონდონი, 2 თებერვალი (საკადესი). ინგლისური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო ლიკვიდაციის დიდ მნიშვნელობას. გაზეთი „დეილი მეილი" სწერს, რომ ამ ჯარების ლიკვიდაციით დამთავრებულია ახლანდელი კამპანიის მთელი ეტაპი, სტალინგრადთან გერმანელთა ჯარების გარშემორტყმისა და მოსპობის ოპერაციის უდიდესი, სტრატეგიული და მორალური მნიშვნელობა აქვს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელთა ჯარებს ჩრდილოეთ კავკასიაში სერიოზულად საფრთხე დასტრიალებს თავს.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" სამხედრო მიმომხილველი მორლეი რიჩარდსი სწერს: „გენერალ-ფელდმარშალი პაულუსი ტყვედ არის წაყვანილი და გერმანელთა მე-6 არმია ისტორიას ჩაბარდა. სტალინგრადთან გერმანელთა ჯარების დაჯგუფების, რიცხვით 330.000 კაცის გარშემორტყმა და ლიკვიდაცია ნიშნავს, რომ გერმანელებს თავს დაატყდათ გიგანტური მასშტაბის სამხედრო კატასტროფა. გერმანელთა შვიდ არმია ხაფანგში აღმოჩნდა. რუსებმა მოაბრუნეს ჯერ ოსტატურად შეეჩერებინათ მისი შეტევა, ხოლო შემდეგ კიდევ მოესპოთ იგი. ჰიტლერი ვარაუდობდა დაეპყრო სტალინგრადი და კიდევ ერთი უზეში შეცდომა დაუშვა თავისი პრესტიჟის დაცვისათვის ჰიტლერმა არ ისურვა თავის დროზე წამოეყვანა სტალინგრადიდან თავისი ჯარები, სანამ ჯერ კიდევ დრო იყო წამოსვლისა. ეს ჯარები მან მსხვერპლად მიუტანა თავის პრესტიჟს. გერმანელთა დაჯგუფების ლიკვიდაცია სტალინგრადის რაიონში ჰიტლერის სამხედრო უნიჭობის ტრაგიკულ მონუმენტს წარმოადგენს".

„სტალინგრადის დაცვა ყველაზე უფრო გმირული ფურცელია ჩვენი ეპოქის ისტორიაში"

თურქული პრესის გამოხმაურება წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებზე

სტამბოლი, 2 თებერვალი (საკადესი). თურქული გაზეთები წინანდებურად დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან მიღებულ ცნობებს და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის უდიდეს მნიშვნელობას. სადრი ერტემი გაზეთ „ვაკითში" სწერს, რომ სტალინგრადის დაცვა ყველაზე უფრო გმირულ ფურცელს წარმოადგენს ჩვენი ეპოქის ისტორიაში. ყველა იმათ, ვინც ამ ქალაქს იცავდა, კაცობრიობის ისტორია მიიგონებს, როგორც გმირებს. სტალინგრადმა გაუძლო გერმანელთა შეტევას და ამან გამოიწვია გერმანელთა მთელი სტრატეგიული გეგმის ჩაშლა და გერმანელთა ჯარების დამარცხება.

გაზეთ „ენი საბაჰის" რედაქტორი იალჩინი სწერს, რომ გერმანიის არმიებს არა აქვთ და არც ექნებათ მოსვენება ამ ზამთარს. ეს აშინებთ გერმანელებს. გერმანიის არმიაში უფრო და უფრო გარკვეულად მეფავნდება დაღლილობა და დაუძლურების ნიშნები. შეიძლება სრული უფლებით დავსვათ კითხვა, სწერს ავტორი, როგორ შესძლებენ გერმანელები პასუხისტორონ ის საშინელი ზარალი, რაც მათ ტყვე მოუვიდათ რუსების ორ თვეზე მეტი ხნის შეტევისაგან ზამთარში. ამ ზამთარს გერმანელებმა სავსებით გაიგეს, თუ რას ნიშნავს დაღლილობა და დაუძლურება. ამიერიდან გერმანიისათვის დამთავრდა ომის შეტევითი სტადია.

პარტიული ცხოვრება

ცაგერის რაიონული პარტიული კონფერენცია

ამ დღეებში ჩატარდა ცაგერის რაიონის X პარტიული კონფერენცია.

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ვ. ბერ. მურცხვალაძე. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. სვანრიძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო 17-მა კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პრაქტიკული მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება და შემდგომი მუშაობისათვის მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი. არჩეულ იქნა პლენუმი 29 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო. პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. რ. მურცხვალაძე, მეორე მდივნად — ამხ. ს. სილაგაძე, მესამე მდივნად კადრების დარგში — ამხ. ე. ჩანკვეტაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას აღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ს. ჭელიძე.

მ. ჯინჭველაშვილი

დუშეთის რაიონული პარტიული კონფერენცია

ამას წინად ჩატარდა დუშეთის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმასრულებლის ამხ. ზ. მაისურაძის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. მახარაშვილის საანგარიშო მოხსენებანი.

მომხსენებლები და მოკამათენი შეეხენ პარტორგანიზაციების მუშაობის როგორც მიღწევებს, ავრეთვე ნაკლოვანებებს. როგორც გამოირკვა, არადამაკმაყოფილებელი იყო მუშაობა პარტიის რიგებში ქალებისა და აქტიური კოლმეურნეების მიღების საქმეში. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 14 ამხანაგმა.

პლენუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 33 წევრი და 11 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში — 5 კაცი.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. მაისურაძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. ზოტიკიშვილი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ხ. პეტრიაშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

ნ. ხეთაგუროვი

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში ჩაატარა სამდღიანი რესპუბლიკური სემინარი საქ. ალკკ რაიონულ და საქალაქო კომიტეტების მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისათვის.

სემინარზე წაკითხულ იქნა რამდენიმე ლექცია პედაგოგიკიდან. მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები აღნიშნულ სემინარზე გაეცნენ საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პიონერული მუშაობის შესახებ, მოისმინეს ლექციები სამხედრო-ფიზკულტურული მოშზადების, სამამულო ომის პატრიოტიზმის, ოჯახებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების ამოცანების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ. საქ. ალკკ რაიკომებთან და საქალაქო კომიტეტებთან არსებული პიონერული შტაბების მუშაობის შესახებ და სხვ.

სემინარზე ლექციები წაიკითხეს საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა: ნ. ყვარნიამ, დ. მჭედლიშვილმა, ვ. ლელინმა, აგრეთვე ამხანაგებმა: ობოლაძემ, მერკვილაძემ, დარსალიამ, ტყემალაძემ და დიმიტრიევმა.

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

იკისრეს თებერვალში უკეთესად იმუშაონ

თბილისის წისქვილ-კომბინატმა (დირექტორი ამხ. მინდიაშვილი) იანვრის გეგმა 107,2 პროცენტით შეასრულა. იანვარში უკეთესად იმუშავეს ამხ. კოსტენკოს და ამხ. პოგოდინის ბრიგადებმა. პირველმა გეგმა შეასრულა 112,9 პროცენტით, მეორემ—110 პროცენტით. ამ ბრიგადებმა პირნათლად შეასრულეს ფბირი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

წისქვილ-კომბინატის მუშაკთა კოლექტივი პირობას იძლევა უკეთესად იმუშაოს თებერვალში, გადაჭარბებით შეასრულოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები და ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს მშობლიური წითელი არმიის XXV წლისთავს.

ლ. იაძე

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 2 თებერვალი (საკადესი). ბოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების შტაბის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ტუნისის ცენტრალურ ნაწილში ხდებოდა უმნიშვნელო შეტაკებები მტერთან. მოკავშირეთა ბომბდამშენებმა 31 იანვარს კვლავ მიტანეს იერიში ბიზერტის დოკებზე. სამხრეთ ტუნისში მტერმა განაახლა იერიშები ტებაგის დახმარებით.

რეიტერის საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა შტაბთან იმყოფება ჩრდილოეთ აფრიკაში, გადმოგვცემს, რომ 28 იანვარს მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაუზიანეს ღერძის სახელმწიფოთა 7 გემი.

ქიროს და დე გოლის მოლაპარაკების გამო

ლონდონი, 1 თებერვალი (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, გენერალმა ჟიროომ განაცხადა, რომ ამჟამად მოსალოდნელი არ არის ფრანგთა ეროვნული ერთიანი მოძრაობა. მან და გენერალმა დე გოლმა მიაღწიეს შეთანხმებას მხოლოდ „სამხედრო, ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებში ურთიერთობის დამყარების შესახებ".

რეიტერის საგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, რომ ლონდონში დე გოლის მთავარ ბანაკთან შეიქმნება გენერალ ჟიროს სპეციალური მისია. სიფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის ასეთივე მისია შეიქმნება გენერალ ჟიროსთან ალჟირში. ორივე მისია სამხედრო, ეკონომიურ და ტექნიკურ საკითხებზე იმუშავებს, მაგრამ მათ არავითარი პოლიტიკური ფუნქცია არ ეკისრებათ. მიმომხილველი ეხება ჟიროსა და დე გოლის მოლაპარაკებას და აღნიშნავს, რომ მათ პოლიტიკური პრობლემებიც განიხილეს, მაგრამ ამჟამად შეუძლებელი აღმოჩნდა ორივე მხარის პოზიციებს შორის არსებული უთანხმოების თავიდან აცილება. დე გოლი მოითხოვს, რომ შეიქმნას ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლება რესპუბლიკური კანონების დაცვისა და ვიშის მომხრე ელემენტების განიდების საფუძველზე. ჟიროო ამჟამად შესაძლებლად არა სცნობს მიიღოს დე გოლის ეს წინადადებანი.

როგორც აფის საგენტო გადმოგვცემს, მებრძოლი საფრანგეთის წრეებში გადაკვრით ამბობენ, რომ ახლანდელ პირობებში იმედი არ არის დაუყოვნებლივ და საბოლოოდ იქნას გადაწყვეტილი ყველა პრობლემა. რომლებიც დე გოლისა და ჟიროს მოლაპარაკებაზე ობიექტს წარმოადგენდნენ.

საბერძნეთის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 1 თებერვალი (საკადესი). საბერძნეთის დეპეშათა საგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „საბერძნეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებს ემორჩილება და ამიტომ თავის მოვალეობად მიიჩნია საბერძნეთის განთავისუფლების შემდეგ ათენში დაბრუნებისთანავე მოიხსნას თავისი რწმუნებულება და ამით შესაძლებლობა მისცეს ხალხს აირჩიოს მთავრობა, რომელიც წარმომადგენელი იქნება ყველა სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობისა და მთელი ეროვნული ძალისა, რომლებიც გაერთიანებული არიან პარტიებად ან ორგანიზაციებად და ოკუპაციის დროს აქტიურად უწყობდნენ ხელს განთავისუფლებისათვის ბრძოლას".

უცხოეთის ქრონიკა

ოფიციალური ცნობებით, გასულ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუშვეს 1.321.000.000-ზე მეტი დოლარის ჩარხები — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1941 წელს.

ლონდონში უდიდესი წარმატებით მიდის საბჭოთა ფილმი „ომის ერთი დღე". მთელი ინგლისური პრესა აღტაცებულ შეფასებას აძლევს ფილმს. (საკადესი).

ავაგოთ საბრძოლო ოვითმფრინავთა ესკადრილიები საბჭოთა ხალხისა!

ქუთაისი მშრომელთა წვლილი

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). რიონჰესის მუშაკთა კოლექტივმა „საბჭოთა საქართველოს" აგების ფონდში შეიტანა 31.000 მანეთი, საქპარტრესტის ქუთაისის განყოფილების მუშაკებმა—42.000 მანეთი. სოციუზრუნველყოფის განყოფილების—100.000 მანეთი, საქ. ვაჭრობის განყოფილების დაანაშრომლებმა — 61.277 მანეთი, მაუდის ფაბრიკის მეორე ცვლის კოლექტივმა—28.280 მანეთი, ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის ლეტერატურა-ენისმცოდნეობის ფაკულტეტის მასწავლებლებმა — 105.000 მანეთი, ლიტოფონის ქარხნის კოლექტივმა — 42.471 მანეთი.

• • •

ოჩამჩირის რაიონის მშრომელებმა ავიაესკადრილიების აგების ფონდში შეიტანეს 4.337.000 მანეთი. სახსრების შეგროვება მიმდინარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ჯანჯღავა

ცანავების შეგროვება ნარმაგებით გრძელდება

[illegible] 2.035.000 [illegible] ეროვნების წევრებმა შეიტანეს 74.000 [illegible] ეროვნების წევრებმა — 70.000 მანეთი, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. მთაფშელმა, რომელმაც სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" აგების ფონდში 103.000 მანეთი შეიტანა, თვითმფრინავთა ესკადრილიების აგების ფონდში თავისი დანაზოგიდან გაიღო 3.000 მანეთი. თანხების შეგროვება გრძელდება.

ესკადრილიების აგების ფონდში

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ შენმახველ სალაროში გამოცხადდა მოქალაქე თ. ფირცხალავა, რომელმაც წარადგინა ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთი № 218, სერია 52291 (20-მანეთიანი).

ლატარიის ბილეთის გასინჯვისას გამოირკვა, რომ ამხ. ფირცხალავას ხვდა 10.000 მანეთი მოგება.

ბ. სამხარაძე

ДИДИ МОГЕБА

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ შენმახველ სალაროში გამოცხადდა მოქალაქე თ. ფირცხალავა, რომელმაც წარადგინა ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთი № 218, სერია 52291 (20-მანეთიანი).

ВИТОЕЛИ АРМИИСА ДА ВИТОЕЛИ ФЛОТИС МЕБРАДЗОЛТА ДА МЕТАУРТА ОЖАХЕБИС ДАХМАРЕБИС КВИРЕУЛИ

ДИДМНИШВНЕЛОВАНИ ПАТРИОТУЛИ САКМЕ

საქართველოს მშრომელები ფართოდ ეხმაურებიან ივანოველი ამხანაგების კეთილშობილურ ინიციატივას ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

თბილისში უკვე შეუდგნენ წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების დახმარების კვირეულის ჩატარებას.

კროვის სახელობის რაიონში ჯერ კიდევ ამ კვირეულის დაწყებამდე დიდი მუშაობა სწარმოებდა ფრონტელთა ოჯახებისათვის დასახმარებლად. რაიონის სკოლებში ფრონტელთა 500 ბავშვი იღებს უფასო საუზმეს, 1.200 ბავშვს მიეცა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. რაიონის საწარმოებში (26 კომისრის სახელობის ფეხსაცმლის არტელი, სახელოსნო № 1, ტყავეულის ქარხანა № 2 და სხვ.). მასალების ნარჩენებისგან მუშები ჰკერავენ ფეხსაცმელს, თბილ ტანსაცმელს, ქუდებს, ქოვლებ სვიტრებს, წინდებს, რაც მთლიანად ურიგდება ფრონტელთა და დროებით ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებულთა ბავშვებს. ამჟამად გაშლილია მუშაობა იმისათვის, რომ დაწერილებით შეისწავლონ იქნას რაიონში

ОЖАХЕБИС ДАХМАРЕБИС КВИРЕУЛИ

ჟუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). რიონჰესის მუშაკთა კოლექტივმა „საბჭოთა საქართველოს" აგების ფონდში შეიტანა 31.000 მანეთი, საქპარტრესტის ქუთაისის განყოფილების მუშაკებმა—42.000 მანეთი. სოციუზრუნველყოფის განყოფილების—100.000 მანეთი, საქ. ვაჭრობის განყოფილების დაანაშრომლებმა — 61.277 მანეთი, მაუდის ფაბრიკის მეორე ცვლის კოლექტივმა—28.280 მანეთი, ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის ლეტერატურა-ენისმცოდნეობის ფაკულტეტის მასწავლებლებმა — 105.000 მანეთი, ლიტოფონის ქარხნის კოლექტივმა — 42.471 მანეთი.

• • •

ოჩამჩირის რაიონის მშრომელებმა ავიაესკადრილიების აგების ფონდში შეიტანეს 4.337.000 მანეთი. სახსრების შეგროვება მიმდინარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანი ჯანჯღავა

ДИДИ МОГЕБА

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ შენმახველ სალაროში გამოცხადდა მოქალაქე თ. ფირცხალავა, რომელმაც წარადგინა ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთი № 218, სერია 52291 (20-მანეთიანი).

ლატარიის ბილეთის გასინჯვისას გამოირკვა, რომ ამხ. ფირცხალავას ხვდა 10.000 მანეთი მოგება.

ბ. სამხარაძე

КИНОФОБЕБИ

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და ლუნაჩარსკი სახ. — „სამი მუშკეტერი", დამკვრელი—„დიდი ვალსი", კომკავშირელი და კომბინერნი — „კონცერტი ფრონტისათვის", 26 კომ. სახ.—„მეოთხე პერისკოპი", მეცნიერება და ცოდნა—„საბჭოთა სამშობლოსათვის".

მოქმედი არმია (სტალინგრადის რაიონი). სურათზე: ჩვენი ჯარების ნადავლი. სოფ. პეტროვკაში მტრის უკანდახეულმა ნაწილებმა დასტოვეს 80 ტანკი და ბევრი ავტომობილი.

ფოტო ნ. ჩისტიაკოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ЛЕКЦИЕБИ Д МОКЛЕ ДАНЕБИ

4 თებერვალს, სალამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის აგიტპუნქტის დარბაზში (საბჭოს ქ. № 134), შესდგება ამხ. ავაბეგოვის ლექცია. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიაგიტპუნქტში.

ТЕАТРЕБШИ

4 თებერვალს: სახოპერა — „პუგენოტები". რუსთაველის სახელობის — „ოტელო". მარჯანიშვილის სახელობის — „პარტიზანები". გრიბოედოვის სახელობის—„რუსი ადამიანები". სომხური თეატრი — „კინტო". ახუნდოვის სახელობის — „ლენქორანის ხანის ვეზირი". მუსიკალური კომედიის — „როზმარი". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი—„გაიდარი". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „ჩექმებიანი კატა". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ორი ბატონის მსახური".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

დაკარგულია არტელ „ვანინკოიპის" მრგვალი ბეჭედი. ჩ. ბ. 213

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ შაბათს, 6/II, 6 ს. დანიშნულია ამხ. როსტომ შადურის ძმის
ანდრო სიმონიძე შადურის
სამოქალაქო პანაშვიდი. ლენინის ქ. № 85, ასბესტიანი სახლი, მე-2 შესასვლელი, მე-3 სართული.

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან
კონსტანტინე ნიკოლოზიძე ბრეგაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჭყონდიდში 4/II. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 38. 219

საქ. ჯანსახკომის კოლექტივი იუწყება ექიმ
ყარამან მანუჩარის-ძე ჩიქოვანის
გარდაცვალებას. 207

სამტრედიის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლები იუწყებიან
იონა (მამია) სოკრატის-ძე ცომაიას
გარდაცვალებას. 209

საქ. მუკის ცენტრალური საბჭოს თანამშრომლები იუწყებიან
ანიკო ნიკოლოზის-ასულ ჭელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/II ქ. გორში. გამოსვენება შალვიანის ქ. № 8. 212

არტელ „უნარის" თანამშრომლები იუწყებიან
ალექსანდრე მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქვემო მაჩხანში. 211

ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებლები იუწყებიან პარმენ კუკავას მამის
ზოსიმე ჯათუს-ძე კუკავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხეთახამსკურში 5/II. 214

ტრესტ „თელასის" კოლექტივი იუწყება თანამშრომელ
ნიოფიტე ლუარსაბის-ძე ბიოკრგოგბიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/II, 5 ს. ვაჟა ფშაველას ქ. № 3. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 215

საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის საშენებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები იუწყებიან
აკაკი დიმიტრის-ძე ნაბუყებიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მარანში. 216

„ობილგუეტრანსპორტის" ორგბიურო იუწყება
სიმონ ესტატეს-ძე ბიოკრგოგბიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/II, 7 ს. გამოსვენება 4/II, 5 ს. ფოთის ქ. № 25. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 217

ВИТОЕЛИ АРМИИС შეგვევა ჩვენი მეგობრებისა და მეგობრების შეფასებით

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცნობები, ჩვენი მეგობრებისათვის სასიხარულონი და ჩვენი მტრებისათვის უნეგეშონი, მეორე პლანზე აქცევენ ცნობებს სხვა მოვლენათა შესახებ, რომლებიც მსოფლიოში ხდება. მთელი მსოფლიო შეუსუსტებელი, დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს წითელი არმიის გმირულ ბრძოლას, მისი ახლანდელი შეტევის უმაგალითო გაქანებას. დარტყმა დარტყმას მოსდევს. აი, უკანასკნელი დღეების ამბები. 27 იანვარს გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. 28 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი კასტორნოე. 30 იანვარს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა ჟორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის შესახებ, ქალაქების ნოვი ოსკოლისა და კროპოტკინის აღების შესახებ. დღეს ქვეყნდება ცნობა წითელი არმიის ახალი დიდი წარმატების შესახებ: ჩვენმა ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შედეგად დაიკავეს ქალაქები ტიხორეცკი და მაიკოპი.

საბჭოთა დარტყმებმა არა მარტო გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა, არამარტო ჩაფუშეს და გააკამტვერეს ჰიტლერელთა სარდლობის ყველა გეგმა და ვარაუდი,—მათ გაარღვიეს გერმანული ფაშისტური პროპაგანდის სიცრუის სქელი კვამლის ფარდაც, აიძულეს ჰიტლერელები თვითონ აღვარებინათ თავიანთი დამარცხებანი, თავიანთი მარცხები.

გერმანელთა უკანასკნელი დღეების სამხედრო ცნობები, გერმანელთა სამხედრო ინფორმაცია სამნილი სიცრუისა და იძულებითს, ნაძალადევად აღიარებათა არაჩვეულებრივ შეხამებას წარმოადგენენ. გერმანულ რადიოგადაცემებში უკვე ჩვეულებრივი გახდა ასეთი ფრაზები, როგორც. მაგალითად: „აღმოსავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგე განაგრძობს მოძალებას გერმანელთა ჯარების პოზიციებზე...", „საბჭოთა ნაწილებმა გაფფრებული იერიშების შედეგად ახალი ტერიტორია დაიკავეს". გერმანული გაზეთი „მიუნხენერ ნოიესტე ნახრიხტენი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლანდელი ბრძოლების მასშტაბი და გააფთრებულობა ბევრად აჭარბებს გასულ ზამთარში წარმოებული ბრძოლების ინტენსიურობას. „ისინი, — სწერს გაზეთი,—მართლაც აღემატებიან ყოველივე იმას, რაც დღემდე როდისმე იყო ცნობილი". მეორე გერმანული ფაშისტური გაზეთი—„ბერლინერ ლოკალანციგერი" თავის მხრივ აცხადებს: „აშკარად და გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საქმე ეხება უმაგალითოდ მძიმე ბრძოლებს აღმოსავლეთში. ყველაზე გონებაჩლუნგმა ადამიანმაც კი უნდა გაიგოს მნიშვნელობა ამ სიტყვებისა: უმაგალითოდ მძიმე ბრძოლები აღმოსავლეთში".

რომის რადიო განგაშსა სტე